პროექტის დასახელება: ფრონტალური კბილების პირდაპირი და არაპირდაპირი რესტავრაციების თანამედროვე მიდგომები და თავისებურებები

სამეცნიერო კვლევის მიმართულება თჰუ-ს კვლევის პრიორიტეტული მიმართულების მიხდვით: მედიცინის და ჯანმრთელობის მეცნიერებები - სტომატოლოგია

პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი რუსუდან დევნოზაშვილი

პროექტში ჩართული პროფესორები: ნინო აბაიშვილი და ხათუნა ქორიძე, ასოცირებული პროფესორი ეკა თოფურიძე, ასისტენტი მარიამ გოგიბერიძე, სტუდენტები: ნინი გოქაძე, ნინი ტალახაძე, თაკო ლომიძე, ნიკოლეტა ვენიერი და გვანცა ჩანქსელიანი.

კვლევის სიახლე განისაზღვრება პირის ღრუში რესტავრაციის სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული თანამედროვე მიდგომებით. კერძოდ, განისაზღვროს ცვლილებები, რომელიც განუწყვეტლივ მიმდინარეობს ყოფით გარემოში.

კვლევის მიზანია გამოავლინოს გემოვნების ცვლილებებთან დაკავშირებული თავისებურებები, რომელიც აუცილებელია თანამედროვე პრაქტიკოსი ექიმისთვის.

კვლევის ამოცანებია:

1)ესთეტიკური მაჩვენებლების თანამედროვე მიდგომების განსაზღვრა სამუშაოს ფერთა გამის განსაზღვრასთან კავშირში

2)ესთეტიკური მაჩვენებლების თანამედროვე მიდგომების განსაზღვრა სამუშაოს რაოდენობრივ მოცულობასთან კავშირში

3)ესთეტიკური მაჩვენებლების თანამედროვე მიდგომების განსაზღვრა სამუშაოს ბუნებრივ და ხელოვნურ ეფექტთან კავშირში

საკითხის აქტუალობა და კვლევის სიახლე: ფრონტალური კბილების რესტავრაცია და შესაბამისად ლამაზი ღიმილის, მეტყველების და სახის პროპორციების შენარჩუნება, არ კარგავს აქტუალობას. ესთეტიკური მედიცინის განვითარების კვალდაკვალ, ასაკობრივი ზღვარის მიუხედავად, გაზრდილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მსოფლიოში ახალ ტენდეციებს, მიდგომებს და ცვლილებებს განაპირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევები რომელიც განსაზღვრავს ფრონტალური კბილების ფერის, ფორმის პაციენტთა გემოვნებასთან მიმართებაში დამოკიდებულებას, საინტერესოა და არ კარგავს აქტუალობას. ინოვაციურია კბილთა თეთრი ფერის თემატიკა. კერძოდ, პაციენტების მიერ ამ საკითხების გააზრება და გამოყენება. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით კვლევები ჩატარება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი თაობის ექიმებისთვის, რომელთა პრაქტიკული უნარების განვითარება და სიახლეების დანერგვა პაციენტებთან მიდგომების სიღრმისეულ ცოდნას მოითხოვს. სწორედ ამიტომ კვლევაში ჩართულია სტუდენტთა ჯგუფი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენენ პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდებათ კლინიკურად მკურნალობა და შესაბამისად შეფასდება მკურნალობის შედეგები. სტუდენტების მიერ პარალელურად ტარდება ვერბალური კვლევა თანაკურსელებსა და ჰუმანიტარული ინსტიტუტის სტუდენტებს შორის, წინასწარ შემუშავებული კითხვარის შესაბამისად.

კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

კვლევა ხორციელდება თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სასწავლო კლინიკის ბაზაზე და აგრეთვე თვითდაფინანსებულ პაციენტებზე შემდეგ კლინიკებში:

1)დენტალ ჩემპიონი (ქ.თბილისი შოთა იამანიძის 12)

2)დენტალ ქეარ (ქ.თბილისი მეტრეველის ქ.4)

3) ელიზ დენტი (ქ. თბილისი გაგარინის ქ. 25)

მოსალოდნელი შედეგები განისაზღვრება ფრონტალური კბილების მიმართ წაყენებული მოთხოვნილებათა სისტემატიზაციით და ახალ მიდგომების გააზრებით. ამასთან, კვლევის შედეგების შეფასება საშუალებას იძლევა დაიხვეწოს სასწავლო პროგრამა და მოდული - კბილების მხატვრული რესტავრაცია თანამედროვე მიდგომებით.